საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 357

20 11 წ. "03" 11.

ქ. თბილისი

შპს - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართულ ბიოგრაფიულ ცენტრს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204931164) გაუუქმდეს ავტორიზაცია.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 3 ნოემბრის №27 სხდომის ოქმის 1.14 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
იოსებ სალუქვაძე

მდივანი
რუსუდან ტყეშელაშვილი